

## Demeter-ის შესახებ

ციფრული მეცნიერება და მიწათმოქმედება ტექნოლოგიური ინოვაციების დახმარებით - ორგანიზაციის მდგრადობის გრძელვადიანი გეგმა ამ ორ ძირითად ფაქტორზე დგას.

[www.h2020-demeter.eu](http://www.h2020-demeter.eu)



# EMPOWERING FARMERS



„Demeter“-ის მიზანია ევროპული აგრო-სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა და მისი მაღალტექნოლოგიური ადაპტაციის გამართვა. ციფრული მეცნიერება და მინათმოქმედება ტექნოლოგიური ინოვაციების დახმარებით - ორგანიზაციის მდგრადობის გრძელვადიანი გეგმა ამ ორ ძირითად ფაქტორზე დგას.



„დიდი იმედი მაქვს, რომ კარგად ხართ ამ მღელვარების პირობებში.

საინფორმაციო ბიულეტენით გვინდა ევროპული აგრო-სექტორის გაციფრულებისთვის მიმდინარე პროექტის პროგრესის, ჩვენი მიღწევების და მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ მოგაწოდოთ ინფორმაცია. ამ შემთხვევაში კი აქცენტს გავაკეთებთ „Demeter“-ის მიზნებზე, გაგაცნობთ ჩენს სამუშაო გუნდს და მოგიყვებით უკვე გამოკვეთილ სიალხეებზე, რომლებიც უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში დაგროვდა. ბიულეტენში ასევე გავესაუბრებით ჩვენს ერთ-ერთ პარტნიორს, რომელიც „Demeter“-ის აქტივობებში საკუთარ როლს გაგვაცნობს. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებ-[საიტზე](#) და ჩვენს სოციალურ მედია არხებზე [Twitter](#), [LinkedIn](#) და [Facebook](#).

დიდი იმედი მაქვს, რომ ბიულეტენი საინტერესო და ინფორმაციული იქნება და სამომავლოდ ჩვენი პროექტით გათვალისწინებულ შემდეგ აქტივობებსაც დაელოდებით.

*Kevin Doolin*

პროექტის კოორდინატორი



# ბიულეტენი

გამოცემა 1 – April 2020

## DEMETER-ის შესახებ

ციფრული მეცნიერება და მიწათმოქმედება ტექნოლოგიური ინოვაციების დახმარებით - ორგანიზაციის მდგრადობის გრძელვადიანი გეგმა ამ ორ ძირითად ფაქტორზე დგას.

[www.h2020-demeter.eu](http://www.h2020-demeter.eu)

## დემეტერის შესახებ

“Demeter” -ის პროექტი არის ფართო მასშტაბიანი წამოწყება, სადაც ფერმერების ძალისხმევა, მიწის დამუშავების მრავალფუნქციური ხედვა და ციფრული პლათფორმები ერთიანდება. ჩენი გუნდი 18 ქვეყანაში 20 საცდელი ინსტალაციის ირგვლივ მუშაობს 18 ქვეყანაში (15 მათგანი ევროკავშირის გაერთიანებას წარმოადგენს).

60 პარტნიორის ჩართულობით Demeter ხელს უწყობს ღირებულებითი ჯაჭვის (მიწოდება-მოთხოვნა) უწყვეტადობას 6,000 ფერმერის დახმარებით 25 საპილოტე ბაზაზე, სადაც 38,000-ზე მეტი სენსორული ინსტალაცია დამონტაჟდა.

გაიგეთ უფრო მეტი [here](#)



## DEMETER-ის მიზნები

ჩვენი კონკრეტული მისიაა ფერმერების, ფერმერული ორგანიზაციების და კორპორაციების გაძლიერება 1) უკვე არსებული პლატფორმების გამოყენებით, რომელიც ახალ ცოდნასთან და ტექნოლოგიურ გამოცდილებასთან ერთად უკვე განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა. 2) მოსავლიანობის და სირთულეებთან გამკლავების იმუნიტეტი გაზრდით, რომელიც სენსორულ ტექნოლოგიებთან ადაპტაციის ხარჯზე მიიღწევა მხოლოდ კონკრეტულ პრობლემებზე ორიენტაციით.

Demeter-ის მიზნების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ოფიციალურ [გვერდს](#)

## DEMETER - უკვე დასრულებული აქტივობები

2019 წლის სექტემბრიდან, მას შემდეგ რაც პროექტის განხორციელება დაიწყო, ჩვენს გუნდს არაერთი ექსპერიმენტი უნდა გაემართლებინა და შესაძლებლობები განესაზღვრა. კერძოდ, შევქმენით ჩვენივე სტანდარტებისა და მოთხოვნების ჩამონათვალი, რომელიც საცდელ ინსტალაციებს და მათზე პასუხისმგებელ ჯგუფებს უნდა დაეკმაყოფილებინათ. ეს ეტაპი ჩვენთვის არაერთ საკონტაქტო პირთან მუშაობის და ადაპტირების საინტერესო გამორჩეული მაგალითი იყო.

გარდა ამისა, შევქმენით კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების სტრატეგია პროექტის გავლენის მაქსიმიზაციისთვის,



## ბიულეტენი გამოცემა 1 – April 2020


**DEMETER-ის შესახებ**  
ციფრული მეცნიერება  
და მიწათმოქმედება  
ტექნოლოგიური  
ინოვაციების  
დახმარებით -  
ორგანიზაციის  
მდგრადობის  
გრძელვადიანი გეგმა ამ  
ორ ძირითად ფაქტორზე  
დგას.

[www.h2020-demeter.eu](http://www.h2020-demeter.eu)

გავწერეთ მონაცემთა მართვის გეგმა და დავასრულეთ Demeter-ის არქიტექტურული ნაწილის უზრუნველყოფა (სენსორების ინსტალაცია, ფერმერებისთვის ტექნიკური ნაწილის პრეზენტაცია და ა.შ)

## საცდელი კლასტერები

Demeter-ის საცდელი 14 ინსტალაცია 14 ევროპის ქვეყანაშია განთავსებული და ფართო მასშტაბიან სექტორებს მოიცავს. ამ საცდელი სენსორების დემონსტრირებით შევაფასებთ რამდენად განვითარებადია ჩვენი ინიციატივები და შესაძლებლობები მომავალში მიწათმოქმედების ტექნოლოგიური განახლების თვალსაზრისით.



ჩვენი გუნდი 5 ძირითად კლასტერადაა დაყოფილი:

**მარცვლეული კულტურები:** წყლის და საირიგაციო სისტემის მენეჯმენტის მდგრადობაზე ორიენტირებული კლასტერი, რომელიც მემარცვლეობის დარგში რაოდენობის და ხარისხის დაბალანსებაზეა ორიენტირებული.

**პროგნოზირებადი მიწათმოქმედება:** ისევ მარცვლეული კულტურების განვითარებისთვის, თუმცა ეს კლასტერი სამანაქანო და ტექნოლოგიური ნაწილის განვითარებაზე მუშაობს, რაც მიწათმოქმედების პროგნოზირებადი, ზუსტ დარგად გარდაქმნას ისახავს მიზნად.



# ბიულეტენი

გამოცემა 1 – April 2020

DEMETER-ის შესახებ ციფრული მეცნიერება და მიწათმოქმედება ტექნოლოგიური ინოვაციების დახმარებით - ორგანიზაციის მდგრადობის გრძელვადიანი გეგმა ამ ორ ძირითად ფაქტორზე დგას.

[www.h2020-demeter.eu](http://www.h2020-demeter.eu)

**ხილი და ბოსტნეული:** ორიენტირებულია ფერმერების მიერ ჯანსაღი და ხარისხიანი ბოსტნეულისა და ხილი მოსავლიანობაზე ევროპულ ქვეყნებში.

**მეცხოველეობა:** ეს ჯგუფი შეიქმნა ფერმერთა მხარდასაჭერად მეცხოველეობის დარგში, რაც გულისხმობს ხარისხიანი რძის ნაწარმის წარმოების, ცხოველთა ჯანმრთელობის და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას ტექნოლოგიური აღჭურვილობის დახმარებით.

**მიწოდების ჯაჭვი:** კლასტერი აერთიანებს რამდენიმე მიმდინარეობას (მეხილეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა და მეფრინველეობა) და აკავშირებს პროდუქციას მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვში.

[here](#).

## ინტერვიუ პროექტის პარტნიორთან – DNET Labs

აქ უკვე DNET Labs-ის პროდუქტ მენეჯერს სენკა გაინოვს გავესაუბრებით, რომელიც ჩენი ერთ-ერთი პარტნიორია და Demeter-ში ორგანიზაციის ჩართულობის შესახებ მოგვითხრობს.



- თუ შეიძლება მოგვიყვით თქვენი ორგანიზაციის და მისი Demeter-ის პროექტში ჩართულობის შესახებ.

DNET Labs-ის კომპანია კვებით ჯაჭვში უფრო მეტი ციფრული ტექნოლოგიის ჩართვასა და ფერმერობის სრულიად ახლებური ხედვის შექმნაზეა ორიენტირებული. “ფერმიდან მომხმარებლამდე” პროცესის სრულიად გამჭვირვალობის და მდგრადობის ხელშეწყობაა ჩვენი Demeter-ში ყოფნის მიზეზიც. პროექტში ძირითადად არქიტექტურის დიზაინის, მისი დანერგვის და გამოცდის პროცესში ვართ ჩართულები.

- უფრო კონკრეტულად რომელი საცდელი კლასტერის და საცდელი პროექტის ნაწილიში ხართ ჩართული?



## ბიულეტენი გამოცემა 1 – April 2020

DEMETER-ის შესახებ  
ციფრული მეცნიერება  
და მიწათმოქმედება  
ტექნოლოგიური  
ინოვაციების  
დახმარებით -  
ორგანიზაციის  
მდგრადობის  
გრძელვადიანი გეგმა ამ  
ორ ძირითად ფაქტორზე  
დგას.

[www.h2020-demeter.eu](http://www.h2020-demeter.eu)

ამჟამად მე-5 კლასტერს ვუძღვებით, რომელიც კვებით ჯაჭვში ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობს ოთხ ქვეყანაში (საქართველო, მონტენეგრო, სლოვენია და სერბია) : მევენახეობა/მეხილეობა და მეფრინველეობის კულტურების ტექნოლოგიური განვითარება.

### - რა არის ამ საცდელი პროექტის ძირითადი დანიშნულება?

ჩვენთვის ძირითადი დანიშნულება მოთხოვნა-მიწოდების ფუნქციონალური თავსებადობის გაზრდაა მოსავლის აღებამდე და მოსავლის აღების შემდგომი აქტობებზე დაკვირვებით. ეს ვრცელდება როგორც ყურძნის/ვაშლის მოსავლიანობაზე, ისე მეფრინველეობის პროდუქტიულობაზე. ჩვენ უბრალოდ რაოდენობრივად აღვრიცხავთ ყველა შესაძლებლობას და ასევე ცხადად ვაქვეყნებთ ჩვენს დეფექტებსაც. თითოეულ რეგიონს თავისი სპეციფიური უნიკალურობა გააჩნია, ამიტომ ვცდილობთ გეოგრაფიული დეტალებიც ტექნოლოგიების ჩართულობით გავზომოთ და მაქსიმალურად ვენდოთ შედეგებს. ციფრული ტექნოლოგიებით შედეგის მიღწევა პირველ რიგში მათდამი ნდობას და გამჭვირვალობას გულისხმობს.

სენკას ინტერვიუს შესახებ დეტალების სანახავად გადადით ლინკზე [here](#)

